№ 2 იანვარი 5, სამშაბათი 1888 იანვარი 5, სამშაბათი № 2

FI N157

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	70
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰქონდეთ: თვითონ რედაქციას, ანალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ ნ ხიდდეველის საკაზეთოს, გოლოვინის პრასპექტი, ცენტრალურსა და გრიქეროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 საპოლიტიკო- და სალიტერატურო- გაზეთი 1877—1888

რედაქციისაგან

რადგანაც ჩვენის გაზეთის ბეჭდვა სხვა ახალს სტამბაში გადავიტანეთ, ამიტომაც დღევანდელი (5-ის იანვრისა) და ხვალინდელი (6-ის იანვრისა) ნომერი «ივერიისა» ცოტა გვიან დაურიგდება ხელის-მომწერლებს; ამისშემდეგ-კი გაზეთი ისევ თავის კვალში ჩასდგება.

ტფილისი, 4 იანვარი

ძველმა წელიწადმა იშინშულა, იშინშულა და ბოლოს სულის ამოხდომაზე რომ მივიდა, გვითხრა: ნუ გეშინიანთ, ტუილი ფართი-ფურთობა იყოგო., პოლიტიკის ცაზედ თუ ნისლი და ბურუსია, მაინც ფიქრი ნურაფერსა გაქვთო., არსაიდამ არ დაიწვქავსო. ახალი წელიწადი ბაშვია ჯერ და საკვირველიც არ არის მოსტუუვდეს. განა კი ნიშანი კია, რომ ახალი წელიწადი ტუუებით დაწყებულ იქმნას? მშვიდობიანობა, რა თქმა უნდა, ფრიად სასურველია და რაც სასურველია, იმას კაცი ადვილად იჯერებს, მაგრამ ტუილის დაკვეცა ვერაფერი ნუგეშია ახალის წელისათვის: მთელი წელიწადი სულ ტუილით ივლის. თვითონ ამ 1888 წელს ამით არა დაიკლებდა-რა, და ჩვენ-კი, ადამიანებს, ჩვენი დაგვმართება.

ამ ნისლსა და ბურუსში მცირედენი შუქი და ნათელი რომ წინ გავიმძღვაროთ, იქნება ძველის წელიწადის სიცრუეს და ორ-პირობას ცოტაოდენი კბილი მოვსწრათ და მის მიერ სამკვიდროდ დატოვებულს ტუილს თამასუქებს ძალიანაც არ მივენდეთ. ჯერ უველაზედ უწინარეს ეს უნდა ვთქვათ, რომ მშვიდობიანობის დაურღვევლობის მიზეზი ის-კი არ არის, ვითომც შინაგანი გარემოება სამშვიდობოდ იყოს უველგან მოწყობილი და ციხე შიგნიდამ არა ჭუდებიდეს. ამ მხრით, არა გვგონია, კაცი ტუილს იმედებს მიენდოს. შინაგანი მიზეზები ბევრია საქმის აშლისა და აწეწვისათვის და ამ წყლულის გასამთელებლად მალამოს შედგენა თვით იმისთანა მკურნალსაც-კი ვერ მოუხერხებია, როგორიც თ. ბისმარკია.

ევროპაში შიგნეულობაში დიდი მოუსვენარი ბული ჭტრიალებს და უველამ იცის შიგნით დატრიალებულს ბულს რა ბოლოც მოსდევს. მართალია, ჭიდილობენ ამ ბულს სარქვეველი არ ახადონ, მაგრამ ესეც იცან, რომ გაგებ [illegible] და მომავლინებელია. დიდხანს საქმის ასე დატოვება შეუძლებელია, საშიშარია, ხოლო ამ ხვალინდელს შიშს უფრო ჭრჩეობენ, ვიდრე დღევანდელის დღის აშლასა და ხელის გამოდებასა. რადა? იმიტომ-რომ დღევანდელი დღე მოუმზადებელია და არავინ დაჯერებული არ არის, ბედი ვის მიაწვდის ხელს ბურთის გამოსატანად მოედნიდან. ამიტომაც დიდნი მოამქმედნი ევროპეის პოლიტიკაში მარტო იმის ცდაში არიან, რომ ძალი და ფიფინე გარედამაც მოიკრიბონ, სხვისითაც გამიგრონ ზურგი მაშინ, როდესაც არაფერს არ ჭზოგვენ თავისითაც გაძლიერებულნი [illegible] ეცაროს სვე-ბედსა.

შესდგა ამის გამო ეგრედ წოდებული სამთა კავშირი გერმანიისა, ავსტრიისა და იტალიისა და თ. ბისმარკი ყველას ეფიცებოდა, რომ ამ სამთა კავშირს სხვა არა აქვსრა აზრად გარდა მშვიდობიანობის დაურღვევლობისა. ამასვე იძახოდა ავსტრია და ნამეტნავად იტალია. ამ ბოლო ხანებში იტალიამ როგორდაც გული გაუგრილა სამთა კავშირსა და სთქვა, რომ მე არც ჯიბე და არც ხელი არ მომდევს სხვისათვის ან ფული ვხარჯო., ან კაციო. ამ სახითეს სამთა კავშირი შიგნიდამვე მოჭედულა, და აბლანდული გამოდგა და არა გვრისტით ნაკერი.

თუნდ ეგეც არ იყოს, განა მართლა ევროპა მარტო ამ სამს სახელმწიფოზეა დანდობილი და სხვა არაყინ არის? თ. ბისმარკმა [illegible] დანარჩენებში ინგლისი უველაზედ უფრო სანატრელი იყო. გერმანიისათვის, ამიტომაც თ. ბისმარკმა ინგლისს დაუწყო ლაქუცი და მეოთხე მეკავშირედ მოიწვია. ხოლო ინგლისი ეგრე ადვილად არ აეთრევა ხოლმე სხვის სურვილსა. ინგლისი მინამ ერთხელ გამოსწორის, ჯერ ათასჯერ გაჭზომავს ხოლმე. ინგლისმა შეუთვალა, რომ დიდად საპატიოა ჩემთვის თქვენთან ერთად ყოფნა, მაგრამ—უკაცრაოდ—მე ჩვეულსა ვარ ყოველ შემთხვევაში ჩემს საკუთარს ინტერესებს ვეკითხებოდე და მარტო იმ ინტერესების მიხედვით ვმოქმედობდეო. თქვენი კავშირი-კი თავზედ მომახვევს თქვენს ინტერესებსაც და ამით ხელ-ფეხს ვერ შევიკრავო.

ჩვენა გვგონია, რომ ამისთანა პასუხმა ძალიან უკან დასწია საქმე აშლისა. ესეთი პასუხი იმასა ჭნიშნავს, რომ ხვალისა ხვალემ იცისო და მე დღეს ხელ-ფეხში ბორკილს არ გავიური; რასაც ხვალე ჭმაგონებს, ისე მოვიქცეგიო. შიშიც ბისმარკისა აქ არის: ხვალემ რომ საფრანგეთის მომხრეობა აგონოს იმისთანა დინჯერს სახელმწიფოს, როგორიც ინგლისია, მაშინ სასწორი გამარჯვებისა ვინ იცის საით გადიწევს. ეს შიში უმიზეზო არ არის, თუ გავიხსენებთ ლორდ ჩერჩილის ყოფნასა რუსეთში და საფრანგეთისა და ინგლისის დაახლოებასა ერთმანეთში მორიგებითა. ერთსა და მეორეზედაც ხვალ დაწვრილებით მოვილაპარაკებთ და ეხლა-კი ამას ვიტყვით, რომ დღევანდელი ჭოანარჩენი [illegible] ტოკვა და ნძრევა სასწორის უდლისა უფრო იმაზეა დამოიკიდებული თუ—ვისკენა იქმს პირსა ინგლისი. ინგლისი — როგორცა ვსთქვით—ჯერ ხანად ისე იქცევა, რომ ორად გაყოფილ ევროპის შუა სდგას და სამოქმედოდ არც ერთს მხარეს არ ემხრობა. რადგანაც თვითველული მხარე ცალკე გამოელის მის გადმობირებას, ამასთან თვითონ ინგლისიც არც ერთს მხარეს იმედს არ უწყვეტს, და ინგლისის მომხრეობა ხომ თვითველულის მხარესათვის მეტად სახარბიელო და სანატრელია, ამიტომაც, ჩვენა გვგონია, რომ მიზეზი ეხლანდელის პოლიტიკის წაჯეგუჯუჯეგობისა ამაში უნდა მოინახოს და მოიჩხრიკოს.

ახალი ამბავი

— ივლს იანვარს ქართველ თეატრში წარმოადგენენ «ხათაბალა», ბ-ნ სუნდუკიანცის პიესა. თამაშობდნენ ჩვენის დრამატიულ დასის ყველა დამსახურებულნი და სახელოვანი არტისტები: ქ-ნნი საფფროიკინ-ბაბაძისა, გუბუნია-ცაგარდელისა, ბბ-ნი კ. ყიფიანი, ვ. ბაბაშიმ, ვ. ალექსა-ძესხანშვილი. ჩამოთვლილი სახელოვანი სავმრისაა მკითხველმა წარმოიდგინოს, როგორ შესრულებდნენ თავიანთ როლებს ამ პიესაში. თუ ამისაც დუმტებთ, რომ ყველანი სანადასაერად მოჰქმეოდნენ თავიანთ საქმესა და თანაც თამაშობის ბუნებაზედ იყვნენ, მაშინ ადვილად გაიგებთ, რა სიამოვნებით გაატარა საზოგადოებამ ეს საღამო ქართველს თეატრში. სარსაბა და ტებიღმა სამეფერამ ქ-ნ საფფროკ-ბაბაძისამ ისეთის ალტაგებაში მოიყვანა ხალხი, რომ მთელი სცენა სიმღერისა გასმოარბინეს. ამ არტისტებთან არ შეგეიძლიან არ დაკასხეოთ ქ-ნ დეონიძისა, რომელიც დადის ნიჭითა თამაშობდა დედის როლსა. უნდა შეენიშნოთ, რომ საზოგადოდ ლეონიძისა მართალ შესანიშნავი არტისტი ქალია ამასთანა როლებში და ჯერ-კიდევ ოზამდა დრამატიული კომპანიტი, ბალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი ხომ არ არის, მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქედ მისწიო!, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება როგორც კიდობანში დაივწყებულს პურს. გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა. თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევინებენ, რომ ძილი მოიგვარონ, გულის ფხანაც ის არის: ძილს მოაცარის. ი-კი არ იციან, რომ თუ წუთი-სოფელს ერთს ბეწო ანს თვალი მოუხუეე, ისე გაგფლავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა.

— ოთარაანთ ქერეს გულის მაგიერ ქვა უდგია, ამბობდნენ სოფელში.

II

ბილბილ მოყრილი მადლი

მართლა ასე იყო თუ არა,—ეს უნდა ეკითხოს ერთს სხვა ქერეს დედაკაცსა, რომელიც სოფლის მეორე ნაპირას იდგა და მეტად წვრილშვილიანი იყო. ეს დედაკაცი ცოტა უხეირო, უნდილი რამ იყო, სოფლის დედაკაცობას ხომ უფრო ეშინოდა ოთარაანთ ქერიესა. ეგი იმას, ვისაც უსაქმოდ მოასწორობდა ხოლმე: ძირანად ამოიღებდა, ძირანად მოსთხრიდა.

— რაო მუქთა-მჭამელოო? ეტყოდა ხოლმე: შენს ქმარს თავის-თავის გამოკვება-კი ეადვილება, რომ შენც მუქთად გკვებოსო. რას დაგიკრებია გულზედ ეგ დასამიწი ხელები,—აი მოგიკვდეს ეგ უგულო გული! მამაშენსა აქეს ცხონება, შენც თუ ხელი გასძარი, შენს ქმარს მეტი ლუკმა ყელზედ დაადგება აი!.. მეტი მოუეა განა!..აი დამიწდი, დამიწდი, კარგი რამ შენა ხარ!..

ისე არავის გაუელიდა გვერდით, რომ არ გიეკიწლა, თუ რამ თვალში არ მოუეიდოდა. ძნელად იქმნებოდა, რომ ტკბილი სიტყვა ეთქვა ვისთვისმე.

— ტკბილი სიტყვა რა არისო! იტყოდა ხოლმე: ამ გამწარებულს წუთი-სოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალ-თმაქციობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს ჰოჰფხანსო. გულის-ფხანა რაღა დარდუ-ბალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი ხომ არ არის, მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქედ მისწიო!, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება როგორც კიდობანში დაივწყებულს პურს. გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა. თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევინებენ, რომ ძილი მოიგვარონ, გულის ფხანაც ის არის: ძილს მოაცარის. ი-კი არ იციან, რომ თუ წუთი-სოფელს ერთს ბეწო ანს თვალი მოუხუეე, ისე გაგფლავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა.

— ოთარაანთ ქერეს გულის მაგიერ ქვა უდგია, ამბობდნენ სოფელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარაანთ ქერეს

რას მიქვიან ტკბილი სიტყვა?

იმ ეეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდა «წაბლიანს» დავარქმეე, ყველამ იცოდა, ვინ არის ოთარაანთ ქერიეი. სოფლის გზირისათვის რომ გეკითხათ, ოთარაანთ ქერიეის კარ-მიდამო-ში მზისა და წვიმის მეტს არავის ეეედლო გაელა ქერიეის უნებურად.

ნაცვალი თუ იასაული, — რაც გინდ დიდი საქმე ჰქონოდათ, —ოთარაანთ ქერიეის ეზოში ვერ გაიწაწანებდნენ და თუ როგორმე გაჰბედავდნენ, ასეთს ალიანქოთს ასტეხდა, რომ ბედსა და თავს დაწყეელინებდა. ნამეტნავად გზირს კარგად ახსო	და ერთი ამბავი და მერე ხომ მთელმა სოფელ-მაც შეიტყო. გზირს ერთხელ ერთი ქათამი წაერთმია, დიაშმეეი მობძანდა, სასოფლოდ ქათმებს ეგროვებთო და ასეთი ეაეაგლახი დაიწია, რომ, ამბობენ, გუბერნატორამდე თავის ფეხით იარაო და ერთი ქათამი შეიდეულად დაუსეა მოურიდებელს გზირსაო. თუმცა თვითონ ქერიესაც ერთი ათიოდ მანეთი შემოჰხარჯოდა მისელა-მოსელაში, მაგრამ ამას ამბობდა თურმე:

— ფული რა არის?!. ხელის ჭუჭყია. ერთი თუმანი რა სათქმელია!.. ჯაერი რომ არ შეეარჩინე, —ეს რადა ჭლირს! ტუუილ-უბრალოდ რომ არ დაეეჩაგვრინე, — ცოტაა! დეე ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქერიეს მეძახიანო.

სწორედ იცოდნენ კიდეც. ჯგუფად რომ გლეხ-კაცობა სადმე მდგარიყო, ნამეტნავად თუ შიგ ერია სოფლის მოხელე ვინმე,—ნაცვალი თუ მამასახლისი—და ოთარაანთ ქერიეი მიმავალი დაენახათ, ისე გაიფანტებოდნენ აქედ-იქით, თითქო ალალმა დაჭქრილა წიწილებსაო.

კაცი ვერ იტყვის, სძულდათ თუ უყვარდათ ოთარაანთ ქერიეი სოფელში. შიშით-კი ყველას ეშინოდა. ასე იფიქრეთ, ტირილით გაჭირვეულებულს და გაკაპასებულს ბალლებსაც-კი ოთარაანთ ქერიეის სახელით აშინებდნენ გულზედ მოსული დედები.

— დაჩუმდი, შე არ გასაწყეტო, თორეს აგერ ოთარაანთ ქერიეი მოდისო.

ოთარაანთ ქერიემა ეს კარგად იცოდა და ბეერს არას ჭნაღელობდა, რომ ასე ეკრძალვიან, ეროდებიან და უფრიხინან ყველანი.

— ქალაჩუნები რომ არიან, იმიტომაო, იტყოდა ხოლმე თავის თავად: ჩემი რად უნდა ეშინოდეთ? რა ბაყაყ დევი მე მნახესო! მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჯაერს არავის შეეარჩენ, ტუუილ-უბრალოდ არავის დაეეჩაგვრინები. თუ გაჭირდა, რკინის ქალამნებს ჩაეიცვამ, რკინის ჯოხს აეიღებ ხელში და ხელმწიფემდი ეიელიო.

სოფელმა კარგად იცოდა, რომ ოთარაანთ ქერიეს ტუუილ-უბრალო ბაღიობა და მუქარა არ უყვარდა. იმისი თქმა და ქმნა ერთი იყო.

— მე და ჩემმა ღმერთმა, ბარაქალა დედაკაციო., იტყოდა ხოლმე დათია ბადიაშვილი ოთარაანთ ქერიეზედ: არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვასა. ახლა შინა ჭნახე,—რა ამბავი აქეს: მთელი დღე ცბრუტეტეეთ ჭტრიალებს ოჯახში. იმისი ხელი და ფეხი დილიდამ საღამომდე არ დადგებაო.

სოფლის დედაკაცობას ხომ უფრო ეშინოდა ოთარაანთ ქერიესა. ეგი იმას, ვისაც უსაქმოდ მოასწორობდა ხოლმე: ძირანად ამოიღებდა, ძირანად მოსთხრიდა.

— რაო მუქთა-მჭამელოო? ეტყოდა ხოლმე: შენს ქმარს თავის-თავის გამოკვება-კი ეადვილება, რომ შენც მუქთად გკვებოსო. რას დაგიკრებია გულზედ ეგ დასამიწი ხელები,—აი მოგიკვდეს ეგ უგულო გული! მამაშენსა აქეს ცხონება, შენც თუ ხელი გასძარი, შენს ქმარს მეტი ლუკმა ყელზედ დაადგება აი!.. მეტი მოუეა განა!..აი დამიწდი, დამიწდი, კარგი რამ შენა ხარ!..

ისე არავის გაუელიდა გვერდით, რომ არ გიეკიწლა, თუ რამ თვალში არ მოუეიდოდა. ძნელად იქმნებოდა, რომ ტკბილი სიტყვა ეთქვა ვისთვისმე.

— ტკბილი სიტყვა რა არისო! იტყოდა ხოლმე: ამ გამწარებულს წუთი-სოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალ-თმაქციობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს ჰოჰფხანსო. გულის-ფხანა რაღა დარდუ-

რომ სხვა როლებს არ მოასხვევდეს ხოლმე თავზედ. ქ-ნი თამარაშვილისა სწორედ შესაფერად თამაშობდა უბედურის მარგალიტას როლსა.

ერთობ უნდა ვთქვათ, კვირის თამაშობით ჩვენმა არტისტებმა დაგვიმტკიცეს, რომ თუ გული იგულებს, ქართულ საზოგადოებასაც ექმნება თავისი საკუთარი თეატრი, რომელსაც შეეძლება გაუწიოს ნამდვილი სამსახური ჩვენს წარმატებასა. თეატრი თითქმის სავსე იყო ხალხითა. ვისურვებთ, რომ ქართულს წარმოდგენას ამ ახალის წლით დაემკვიდროს უკანასკნელ წარმოდგენის რიხი, ლაზათი და სიტურფე, და მაშინ ვნახავთ, რომ თეატრში მოსიარულე იხელმძღვანელებს არა რაიმე სამოწყალო მოსაზრებით, არამედ იმითი, რომ თეატრი გარდაიქცევა საუკეთესო დროს გასატარებელ ადგილად, სადაც კაცი იპოვის გულისა და სულის საზრდოსა.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნს ი. ბახტაძეს, რომელსაც განზრახვა ჰქონდა გაზეთი «თარი» გამოეცა ქართულს ენაზე და კიდევაც თხოვნა შეიტანა სადაც ჯერ არს, მთავრობისაგან უარი მოსვლია.

— ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნი «გორგალა», საყმაწვილო მოთხრობა, ნათარგმნი ი. ლაზრიშვილისაგან. ეს წიგნი სურათებითურთ ლამაზად და უფთად დაბეჭდილია და ღირს 20 კ. ბ-ნს ი. ლაზრიშვილს რიგიანის, რტივის და ადვილად გასაგების ენით უთარგმნია ეს წიგნი, ასე რომ ამ მხრივ თავიდგან აუცდენია ის მძიმე საყვედური, რომელიც ხშირად გაისმის საყმაწვილო წიგნების მთარგმნელთა შესახებ.

— კავკავი: თვით ჩვენს ქალაქში და აგრეთვე ხევის სამამასახლისოში ძალიან ბევრნი არიან ქართულ წერა-კითხვის მცოდნე ოჯახობანი არა მარტო თვით ქართველებში, არამედ სომხებშიაცა. კითხვის ხალისიც ბევრსა აქვს. თუ ვისმე როგორმე ჩაუვარდა ხელში ქართული გაზეთი თუ წიგნი, ჯერ თვითონ წაიკითხავს და მერე გადასცემს მსურველთა. ერთმა ცალმა გაზეთმა თუ წიგნმა ოცი, ოც-და-ათი სახლობა უნდა მოიაროს, მანამ ისეთს ადგილს არ მიაღწევს, რომ პატრონმა სრულებით არ დაკარგოს იმისი გზა და კვალი.

ერთის სიტყვით, მკითხველნი ბლომად არიან, მაგრამ საკითხავის წიგნის შოვნა ტფილისს გარეშე მოუხერხებელია. ამიტომ ძრიელ კარგს იზამდნენ წიგნის მაღაზიები, რომ აქ თავიანთი განყოფილება გაეხსნათ, ანუ ეშოვნათ სანდო ვაჭარი კაცი და მიენდოთ წიგნების გაყიდვა კავკავში. თუ წიგნის მაღაზიებმა ვერ აიხირეს, წერა-კითხვის საზოგადოებამ მაინც უნდა ითავოს ეს საქმე და გამოუჩინოს აქაურ ხალხს ღონისძიება წიგნების მოპოვებისა. ამით აქაურების მადლიერიც ჩადგება და თვითონაც უეჭველია საკმაო ხეირსა ჰნახავს.

— თიანეთში დიდის სასარგებლოდ დაუწესებიათ ბაჟი თითო დუქანზე 50—90 მან. არ იქნებოდა ურიგო, რომ ამ გადასახადიდამ ცოტაოდენი რამ შემწეობა აღმოუჩინოთ აქაურ სკოლისათვის.

— თიანეთის მაზრის ექიმი, ბ-ნი ნაუმენკო, თურმე უსასყიდლოდ არჩენს აქაურის სკოლის მოსწავლეთ და ღარიბ მცხოვრებთ, რითიც დაუმსახურებია მათი სიყვარული და პატივი.

— ქუთაისიდგან გვაცნობებენ: ერთის ვილაც უცხოელს, ბ-ნს შოტს, ადგილობრივ იმერულ ყურძნიდგან დაუყენებია სამის წლის წინად შამპანის ღვინო. ბ-ნს შოტს ეხლა გაუსინჯავინებია ეს ღვინო მცოდნე კაცებისათვის, რომელთა მოწმობით იმერული შამპანის ღვინო არაფრით არ ჩამოუვარდება თურმე საუკეთესო შამპანის ღვინოებს. როგორც შოტი ამბობს, შამპანის ღვინო შენახული უნდა იყოს ხუთს წელიწადს, ასე რომ თუ სამის წლის განმავლობა- [illegible] არ არის, რომ ხუთის წლის ღვინო ბევრად უკეთესი იქნება. ამ ჟამად თითო ბოთლს იმერულის შამპანიის ღვინისას შოტი ჰყიდის ორ მანეთად.

— სოხუმი: აქ წელს 165 პლანტაცია იყო თამბაქოსი. სულ ეჭირა ათასი დღიური მიწა. დღიურზე რომ ორთა შუა მოსავალი 35 ფუთი ვიანგარიშოთ, შეადგენს 35,000 ფუთს. აქ ფუთი თამბაქო რვა მანეთად იყიდება, ასე რომ სოხუმის მაზრას წელს თუთუნისაგან შემოუვა 300,000 მანეთამდის. კარგი შემოსავალია, თქვენმა მზემ, მაგრამ მომყვანნი თამბაქოსი ძრიელ დაღონებულნი არიან იმის გამო, რომ მეტად ყოველთვის ამ დროს გაყიდულიც ჰქონიათ ხოლმე თამბაქო, წელს-კი ვაჭარი არსაიდამ სჩანს. მიზეზი არავინ იცის.

— იქიდამე: 15 დეკემბერს აქ იყო ქალაქის დეპუტატების არჩევნი. არჩევანზე ერთმა ახალგაზდა კაცმა საზოგადოებას მოახსენა რამდენიმე სიტყვით, თუ რა მნიშვნელობა აქვს კარგ დეპუტატის არჩევას, თუ რა და რა საგანს უნდა მიექცეს საზოგადოების ყურადღება, რომ ქალაქი გაუმჯობესდეს. მაგრამ ძველებურად ისევ უსწავლელი დეპუტატები აირჩიეს და ჩაუგდეს ხელში ქალაქის ბედი და იღბალი. დროა ქალაქმა საკვლავად მაინც იფიქროს თავის თავზე და სთხოვოს მართებლობას თვით-მმართველობის ნება მიეცეს სხვა ქალაქებივით, თორემ ამ გვარ დეპუტატებისაგან არა ეშველება-რა ქალაქს.

— თელავიდგან: 27-ს დეკემბერს თელავში გამართეს ქართული წარმოდგენა თელავის საზოგადო «წიგნთ-საკითხავის» სასარგებლოდ. წარმოადგინეს: «არსენა», სამ მოქმედებიანი დრამა ა. მოჩხუბარიძისა, და პირველი მოქმედება კომედიის «გაპიძოხიდამ». ეს წარმოდგენა იმითი არის შესანიშნავი, რომ იგი გამართეს არა იმათ, ვინც საზოგადოდ წარმოდგენებს მართავს, არამედ უბრალო ხელოსანმა მუშა ხალხმა. ეს გარემოება დიაღაც სასიამოვნო და საგულისხმოა, მაგრამ სრულიად სასიამოვნო არ არის ისა, რომ აქაური საზოგადოება მედიდურად და უკადრისად მოეპყრო ამ მუშა-ხალხის კეთილს განზრახვას. აქაური საზოგადოება იმას ამბობდა, რომ სად მუშა-ხალხი და სად წარმოდგენა, მუშის საქმე ხელურო—რანდი არის და რა წარმოდგენაო. ასე ამბობდა აქაური საზოგადოება და კიდევაც იუკადრისა მუშა ხალხის სცენაზე გამოსვლა— თითქმის სრულიად არ დაესწრო წარმოდგენაზე. მაგრამ ჩვენდა სასიამოვნოდ წარმოდგენამ მეტად მშვენივრად ჩაიარა. საზოგადოდ ყველა მოთამაშეებს კარგად შეესწავლათ როლები და რიგიანად ასრულებდნენ კიდეც თავ-თავის როლებს. მომეტებული ყურადღება საზოგადოებისა მიიზიდა ქ. ტ. გოცირიძისამ და ვ. ჩოდრიშვილმა, რომლებმაც მართლა-და ღირსეულად აასრულეს თავისი როლი. აგრეთვე მადლობის ღირსნი არიან ბბ-ნი ს. ჩოდრიშვილი მისა, ვ. ზაალიშვილი და სხვები. ერთის სიტყვით: მოთამაშეებმა დამსწრე საზოგადოება სულით და გულით კმაყოფილი გაისტუმრეს. აქ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ადგილების ფასი ჩვეულებრივზე დაწევლებული იყო.

წარმოდგენის სრული შემოსავალი იყო 34 მ. 30 კაპ. აქედამ დაიხარჯა 22 მან. 30 კაპ. და დანარჩენი 12 მან. გარდაეცა «წიგნთ-საკითხველოს» კასსას.

დასასრულ მადლობა უნდა ვუძღვნათ თელავის კლუბის უფროსებს, რომლებმაც მუქთად დაუთმეს მოთამაშეებს კლუბის დარბაზი.

წვრილი ამბები

— ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრისათვის მიურთმევიათ თხოვნა ქალებს და თხოულობენ, რომ კვირა დღეობით დაკეტილ უნდა იქმნას ყველა სასტუმროები, ყავახანები და ლუდხანებიო. «ინგლისის ქალნი», როგორც დაურქმევიათ თავიანთის თავისათვის, ამას გარდა სხვა გასართობთა აღკრძალვასაცა თხოულობენ თურმე. თხოვნაზედ ერთ მილიონ ქალს უწერია ხელი.

— საფრანგეთის ვაჭრობის სამინისტროს გამოუცხადებია საფრანგეთისავე მეცნიერებათა აკადემიისათვის: 25,000 მან. მიეცემა საჩუქრად იმას, ვინც რაიმე ისეთს უბრალო იარაღს მოიგონებს, რომლის საშუალებითაც შეგვეძლოს შეტყობა, მოწამლულია ღვინო და ან სპირტეული თუ არაო.

— პასტერი ძალიან მძიმედ არის თურმე ავად.

— კიდევ თეატრის დაწვა. ბოლტონში (ინგლისში) გაუფრთხილებლობისა გამო სულ ერთიანად გადამწვარა სამეფო თეატრი.

— სულთანს ოსმალეთისას გადაუწყვეტია, რომ თეატრი დაჰკეტოს სტამბოლში, რადგან წარმოდგენების მიზეზით მკვიდრნი ზნეობრივად ეცემიანო.

— საფრანგეთს 3,000 მანეთამდე უჯდება წელიწადში მგლები. ეს ფული დახარჯულა შარშან-წინ ჯილდოდ მგლების გამწყვეტთა და მგლებზე მონადირეთა.

— ერთი მეტად საყურადღებო საგანი გადაუწყვეტია ამას წინად საფრანგეთის სასამართლოს ე-ლა-შაპელში. იმ ქალაქის თეატრის დირექტორი ძალიან გამწყრალა გაზეთის რეცენზენტზე და განკარგულება მოუხდენია, რომ თეატრში ნუ შეუშვებთ, ბილეთს ნუ მიჰყიდითო. რეცენზენტს საჩივარი შეუტანია თეატრის დირექტორზე და ზარალი მოუთხოვნია, რაც თეატრში წაუსვლელობის მიზეზით მოსვლია. სასამართლოს არამც თუ ზარალი გადაუხდევინებია თეატრის დირექტორისათვის, არამედ იმიერიდგან აღუკრძალავს, რომ ნება არა ჰქონდეს ვისმეს დაუშალოს თეატრში სიარული.

— ამას წინად შვეციის მეფე ოსკარი ჩვეულებისამებრ სადილის შემდეგ გადავიდა თურმე თავის შვილებით პატარა სასტუმრო ოთახში და ტახტზე ჩამოჯდა, ოთახის შუა-გულს. უეცრად მეფე გაიხმეს მეორე ოთახში რაღაცა საქმისათვის. ის იყო ადგა მეფე და გავიდა გარედ, რომ უშველებელმა ჭაღმა, რომელიც სწორედ ტახტის თავზე ეკიდა, იჭექა, დაეცა თურმე ტახტის სწორედ იმ ალაგას, სადაც მეფე იჯდა, და სულ ერთიანად ჩაამტვრია. თურმე კოჭი დამპალიყო და იმიტომ ჩამოვარდა ჭაღი.

— რომიდგანა სწერენ საზღვარ-გარედის გაზეთებს შემდეგს ამბავს: მხატვარი კონეტტი, ახალგაზდა ყმაწვილ-კაცი, რომელიც მხატვრობის სწავლას ათავებდა, რამდენსამე თვესა სწერდა თავის სამშობლოს ეკკლესიისათვის წმ. ღვთის მშობლის ხატსა. ერთმა ამხანაგმა ურჩია: მოიწვია ესა-და-ეს მეტად ყმაწვილი და ლამაზი ქალი, ღვთის-მშობლის სახის ნიმუშად იმისი სახე აიღე, რადგან მეტად მშვენიერია და ლამაზი ცის-ფერი თვალები აქვსო. ახალგაზდა მხატვარს გაგიჟებით შეუყვარდა თურმე ეს ქალი, სიყვარულის გამოცხადება ვერ გაუბედა და ხმა ამოუღებლივ, სიტყვის უთქმელად აღმერთებდა, თავს ევლებოდა. 20 დეკემბერს ყმაწვილ-კაცები შეიკრიბნენ ერთს ყავახანაში, რათა ერთის თავის ამხანაგის დაბადების დღე ედღესასწაულნათ. მიწვეულთა შორის იყო თურმე ის ქალიც, რომლისაგანაც ახალგაზდა მხატვარი ღვთის-მშობლის სახესა ჰხატავდა. ამ წვეულებაზედ ახალგაზდა ქალი მეტად თავისუფლად იქცეოდა, ისე თავისუფლად, რომ ახალგაზდა მხატვარს იმისმა საქციელმა ნამდვილად დაუმტკიცა, რაც იყო, ვინც იყო და რითიც ირჩენდა თავსა მის მიერ შეყვარებული ქალი. ამ ამბავმა ისეთი ცუდი ზედ-მოქმედება იქონია თურმე ყმაწვილს კაცზე, რომ მაშინვე წავიდა სახლში, თითქმის გათავებულ ღვთის-მშობლის ხატს ვარდები გაუკეთა და დამბაჩით იქვე თავი მოიკლა.

გარჯა ეზარებოდა და წვრილ-შვილი ნახევარზედ მშიერ-მწყურვალი ჰყვანდა. ოთარაანთ ქვრივი ყოველ კვირა დღეს ერთ ათიოდ შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე.

— აჰა, ხეთქეო, ეტყოდა ხოლმე დედაკაცსა: დაგილია ეგ შავის მიწით ამოსავსები პირი, შე პირშავო, შენა, და შენი დღენი ძაღლსავით სხვას შეჰყურებ, აცა გამოხრულს ძვალს გადმომიგდებენო. შე არ დასაცალებელო, რისთვის მოუცია ღმერთს ეგ ბარძაყის ოდენა მკლავები!.. დახე, დახე, ამ წუწკსა, წუწკის შვილსა, სამგლე გოჭსავით გათხვირულსა, ლუკმა პურის შოვნის უნარი-კი არა აქვს. რა კარგი დაეყრებათ ამ შენს ცოლის შვილებსა! შენი მაყურებლები შენგან აბა რა კარგს ისწავლიან! ესენი მაინც არ გეცოდება, შე უბედურის დედავ!..

დედაკაცი, ამისთანაების ჩვეული, მაინც მადლობას ეტყოდა ხოლმე.

— მადლობა!.. შენთვის მაგრად შეინახე, ძონძებში გამოიკარ, არ დაგეკარგოს... დიდი განძია ეგ შენი მკლე მადლობა ოთარაანთ ქვრივისათვის, ო შენმა მზემ! ეგრე ხელ გაშლით რად იხარჯები. აი, მეხი-კი დაგაყარე! მადლობა!.. კარგია მუქთია, თორემ მაგასაც ხომ ვერ იშოვიდი, რომ გარჯით საშოვარი იყოს. მადლობა!.. ეგ შენი მადლობა გინდა გახიე, გინდა გაბზრიწე...

გლახა-მათხოვარა ისე არ მიადგებოდა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს რითიმე არ გაეკითხა, მაგრამ თავისებურად-კი წამოულაგებდა.

— ი...ი...ი შენ-კი მოგიკვდა ეგ უხეირო თავი, — მიაყოლებდა ხოლმე, როცა გასაკითხს აწვდიდა: დაგიბრიყვებია ჩემისთანა სულელი დედაკაცები და ლუკმა პურს პირიდამ აცლი. აი მეხი-კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზედ. შე ოხერო, რომ აგილია თავი და დაეხეტები სათხოვრად, ნამუსი აღარა გაქვს? ამ წუთი-სოფელში ვისა აქვს მეტი ლუკმა, რომ შენც გაძლიო. ვერა ჰხედავ, შე გულ-მკვდარო, რომ ვინც-კია, წელებზედ ფეხს იდგამს და დღის სარჩოს ძლივსა ჰშოულობს და შენ როგორღა გარჩინოს! ქვეყნისა არა გრცხვენიან! არა, შე ოყრაყო, ოთარაანთ ქვრივი დედაა შენი, მამაა, თუ შენი მოვალეა, რომ შეგინახოს! აი გაგიხმეს ეგ ხელ-ფეხი! რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუკს ტანზედ, თუ ვერ მოგიხმარებია? ქვეყანას თავისი თავი-კი შეუნახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს. ფუ, შენს ნამუსსა!..

თუ მეტად შესაბრალისი და ღონე მიხდილი გლახა შეხვდებოდა, ამაებს ხომ ეტყოდა და ეტყოდა და ბოლოს დაუმატებდა:

— წამოეთრიე ერთი მარანში, ღვინოს ჩაგაცეცხლებ. ნუ გეგონოს-კი, რომ მადლს გიშვრებოდე რამე. აი გაქრეს, — ოთარაანთ ქვრივმა შენთვის არა გამოიმეტოს-რა. აი ქვევრში რაღაც წუმპე ნაძირალა დამრჩა, მაინც გადასაღვრელია და ბარემ შენ ჩასცეცხლო.

წაიყვანდა, ერთი ორიოდ ჩარექას კაი ღვინოს გადაახუხებდა და გამოისტუმრებდა თავისებურად ქება-დიდებით.

ერთხელ ერთი მთხოვარა მიადგა კარს. ოთარაანთ ქვრივმა გამოუტანა გასაკითხად ერთი უშველებელი შოთი, რასაკვირველია, თავისებური პილპილიც მოაყარა ზედ: კარგად, ლაზათიანად გამოგილანძღეთ. როცა მთხოვარა გაბრუნდა, მაშინ შეასწრო თვალი, რომ ფეხები დაჰხეთქოდა ფეხ-უცმელობით.

— დამაცა, შე არ დასაცალებელო, დაუძახა მთხოვარას.

მთხოვარა გაჩერდა. ოთარაანთ ქვრივი შევარდა სახლში, ილლიას ქვეშ ამოიჩარა ექვსი შოთი, მოვიდა მთხოვარასთან და დაუყვირა.

— მე გამომყევ, შე ადრე და მალე დასამარხავო!

გაოცებული მთხოვარა გაჰყვა. ოთარაანთ ქვრივი გავიდა სოფლის ბაზარში, ერთი შოლტი საქალამნე ლორის ტყავი გამოაღებინა მედუქნეს, ექვსი პური მისცა, ტყავი გამოართვა და ისე მიახალა თავში მთხოვარას, რომ საწყალმა თვალებზედ ხელი მიიფარა, ცხვირ-პირში არ მომხვდესო.

— აჰა, შე არ დასარჩენო, ამოისხი და ჩაიცვი. იქნება ამოსხმაც არ იცოდე, შე დასალუპავო!

— რაო, ოთარაანთ ქვრივო, გემართა მაგისი, თუ რა არის? ჰკითხა ქოსმანსავით გათხვირულმა მედუქნემ.

— მაშ არა-და მაგის თავის მზემ, ჩემს თავს პურს დავაკლებდი და მაგის ქალამანში მივცემდი, იტყუა ოთარაანთ ქვრივმა.

III

ხუთი ქისა

ოთარაანთ ქვრივის სოფლის ნაპირას ერთი კაი მოზდილი ფიცრული ედგა. მისი ეზო, საკმაოდ ფართო გლეხ-კაცისათვის, გარს შემორტყმულია ტყრუშულის ღობითა. ეზო წმინდაა, ფაქიზად შენახული და დერეფნიდამ მოყოლებული ჭიის კარამდე სიგძე-სიგანეზე მწვანით აბიბინებული. დერეფნის წინ ერთ ოციოდ ნაბიჯზედ უშველებელი კაკალი სდგას, შტოებ ძირ-დაშვებული, შემორგვალებული, თითქო განგებ შემოკვეცილიაო.

კაცის თვალს იამებოდა, რომ ეს ეზო ენახა. სახლი, როგორც ვთქვით, ფიცრულია. მარტო ჩრდილის მხრივ კედელი მთლიანია, სხვა მხრივ-კი ყოველგან თითო კარი აქვს დატანებული. კედლები ყველგან დაჩითულია სათოფეებითა. სჩანს შიშიანობის დროს ყოფილა აშენებული.

ამ სახლს მარჯვენივ წალმით დახურული მარანი ედგა, ოთხ-კუთხივ ლია და ფარღალალა. სახლის უკან კალო-საბძელია და საბძელ ქვეშ გომური. სახლის მარცხნივ პატარა ად-

გასართობი

ამას წინად იტალიაში ერთი საანექდოტო ამბავი მომხდარა. ქალაქ გენუას თეატრში წარმოუდგენიათ ოტტავ ფელიეს პიესა ,,Le roman d'un Jeune homme pauvre''. წარმოდგენას სხვათა შორის დასწრებია ერთი ყმაწვილი ქალი გრაფისა, მარიანო, თავის დედით. ამასთანავე ფოფილა ახალგაზდა აზნაური, ლარიბი ყმაწვილი-კაცი, სინიორ კარლო ეიოსტინო. გრაფის ქალმა იცოდა, რომ ეიოსტინო აღმერთავ. და ამას, მაგრამ ისა-ი დასცინოდა ამის სიყვარულს. იმ საღამოს დროს, რომელიც ელვენის ნანგრევებში სწარმოდა, გრაფის ქალს გული მოულბა, რომ ასე უკადრისად რად ვეძებენდი ეიოსტინოს წმინდა გრძნობასთან. შემდეგ მიუალოდნელად წამოდგა და გადაუწვინა ეიოსტინოს. თეატრში მყოფნი ძალიან გაოცდნენ თურმე ამ ამბით. ამისთანა შემთხვევის შემდეგ ქალის დედისს

უარი ვეღარ უთქვამს და ახალგაზდათ ქორწინებაზედ დათანხმებულა.

**

ამას წინად განთქმულმა მწერალმა შპილგაგენმა დასწერა ახალი პიესა ,,Die Philosophin'' და ეს პიესა წარმოადგინეს კიდევე ბერლინის სცენაზედ, მაგრამ მაყურებელთ არ მოეწონათ. ამაზედ გაბრაზებულმა ავტორმა გაზ. ,,National Zeitung''-ში დაჰბეჭდა ფელეტონი, რომელშაც თავის პიესის საზოგადოების მიერ არ-მოწონებას აბრალებს საზოგადოებას, კრიტიკეს, მოთამაშეებს, ე. ი. ყველას და ყველაფერს, თავის თავის გარდა, ამ ამბის გამო ერთს ბერლინის გაზეთს შემდეგი სასაცილო ანექდოტი მოჰკავს რიშვორის ცხოვრებიდან. ამ ,,ბუკა-მახვილმა კაცმა თავის ახალგაზდობაში ბევრი სცადა თურმე და დასწერა ერთი სამაგალი კოდევილი, თავის ამხანაგის მეგობრისთვე თანა-დამზმარებით. კოდევილი საზოგადოებამ სასაცილოდ აიგდო თურმე, არამც თუ მოიწონა.

— მაგე დაგვეგეს, მტრობით, მტრობით!—შესძახა თურმე რიშვორმა წარმოდგენის გათავებისას თავის თანამშრომელს.

— რა თქმა უნდა, რომ მტრობა იქნებაო!— ვეღარს უარვადა ამხანაგიც.

— ვეცადოთ და დამბანშეეთ ფარდა ავბადოთ.

— უიმშველად, უიმშველად!

გაიარა ერთმა წელიწადმა, რიშვორი ვეღარ შეჰხვდა თავის თანამშრომელს ქეჩაზედ და დაუყვირა:

— მიზეზი შევიტყე, მიზეზი!

— რაო?

— ჩვენის კოდევილის გაუფუჭება პირველ არტისტ-ქალის ბრალია. ისინ გვიმეხოდნა და ,,ბავრი ამოიყარა თურმე, რადგან უმთავრესი როლი არ მიეცითო.

— მეც სწორედ მაგ აზრისა ვიყავიო! ვეღარ ეკვარი დაეკარა ამხანაგმა.

გაიარა კიდევ ერთმა წელიწადმა და მეგობრები კიდევ შეჰვდნენ ერთმანერთს.

— შეცდიო,—უთხრა რიშვორმა, არტისტ-ქალმა კი არა, პოლიტიკურმა მტრებმა წაგვიფუჭეს მაშინ საქმეო.

— მეც ეგრე გეგონეთ-ო!—მესამედ ეკვარი დაუკარა თურმე ამხანაგმა.

ამ გვარად მეგობრები ეჰუბნენ სულ ახალსა და ახალს მიზეზსა, კიდევ, შეიდის წლის შემდეგ, რიშვორი ნამდვილს მიზეზს არ მიჰვდა და თავის მეგობარსაც არ აუნიელა თვალები.

— ეზლა-კი ნამდვილად, დაფუშარიტებით ვიცი ჩვენის უბედურების მიზეზი. გუშინ მივეფდი და ყველაფერი დღესავით ნათელია.

— რაო, რა ამბავია?

— ის ამბავია, რომ, არც აქეთ და არც იქით, საძაგელი პიესა დაეწერეო ჩვენა.

ეს პატარა ანექდოტი ვგონეს კი მაგალითი იყოს მარტო შეიდგენისთვის-კი არა, არამედ ბევრის წვრილ-ფეხა და... უმაუოფილო მწერლებისთვისაც.

დეპეშა

31 დეკემბერი

რომი. პაპი ისე ავად არის, რომ ფიქრი აქვთ, არა აუტყდეს-რაო; რომდენჯერმე გული შეუწუხდა.

სტამბოლი. ერთი ნაწილი იმ ბრბისა, რომელიც ბურგასთან გადავიდა ხმელეთზე ნასაკოვის წინამძღვრობით, დაძლეულ იქმნა, შეეფარა ოსმალეთის მიწა-წყალზე, მაგრამ იქ შეიპყრეს. მეორე ბრბო შედგა ოსმალეთში და განზრახავ ჰქონდა აღმოსავლეთ რუმელიაში შესულიყო, მაგრამ ოსმალეთის ჯარმა ტყედ დაიჭირა.

ცეტინე. ჩერნოგორიაში დიდი შიმშილობა ჩამოვარდა; 30,000 კაცს არაფითარი სახსარი ცხოვრებისა არა აქვს. ოდესიდამ წამოსული გემი, დატვირთული პურითა, ჯერ არ მოსულაო.

ბერლინი. იმპერატორი უკეთ შეიქმნა.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი 4-დამ $3\frac{1}{2}$ %-მდე.

1 იანვარი

პეტერბურგი. გენერალ-ადმირალს, ეიეე-ადმირალს დიდს მთავარს ალექსი ალექსანდრეს ძეს ებოძა ადმირალობა. ებოძათ უმაღლესის რესკრიპტით ჯილდონი; სახელმწიფო საბჭოს წევრს, გენერალ-ადიუტანტს ტიმაშევსა ორდენი წმ. ანდრია პირველ წოდებულისა; შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფ ტოლსტოის, სახელმწიფო კონტროლერს სოლსკის და საკუთრად მის უდიდებულესობის კანცელარიის გამგებელს ტანე

უფროსებს, რომელნიც ესლა იღებენ სასმელ-სასწმენდისათვის ფულს 146 და 366 მანეთზე წლიურ ჯამაგირადან, უმაღლესად ნებადა დამტკიცებია ფული მანიშნებული სამხედრო მინისტერიუმისათვის 26 თებერვალს 1887 წლისას № 44-ე ნომრით, შესახებ რომელ კომანდირებისა. ამისთანაკე მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, რომ ადგილობრივ არტელიერიის კომანდების უფროსებს, სასმელ-სასმელის ფულად. იქ სადაც ეს ფული ეძლევათ ამით, ვისაც ბოდიშოდებიანის ხარისხი აქვთ, მიემატოს წლიურად 120 მანეთი; ჯერთვე გოსპიტალების კომანდების უფროსებს მიემატოს სასმელ-სასმელის ფულად 180 მ. წელიწადში.

სპეციალიან დეპარტამენტის დირექტორს ფონ-ბერნოგას ებოძა «ტაინი სოციტნიკის» ხარისხი, პეტერბურგის კონსერვატორიის დირექტორს რუბინშტეინს მიეცა «დისტინქტიანი სტატსკი სოვეტნიკობა».

2 ივნვარი

პეტერბურგი. უმოვრესი მოგებანი დღეკვნდელის ტირაჟისა 1-ლ შანსგანის სერიისა ერგო შემდეგს ბილეთებს:

№№ სერიებისა	№№ ბილეთებისა	ჯამი
8689	50	200,000
8874	20	75,000
10.283	3	40,000
15,130	47	25,000
14,652	5	10,000
236	9	10,000
7,510	1	10,000
8,578	50	8,000
6,301	47	8,000
3,695	37	8,000
6,575	35	8,000
16;714	31	8,000
11,337	3	5,000
18,224	43	5,000
6,936	37	5,000
17,957	34	5,000
19,156	41	5,000
8,449	41	5,000
10,800	27	5,000
1,996	7	5,000
216	18	1,000
7,003	12	1,000
11,112	48	1,000
7,661	43	1,000
3,077	29	1,000
11,229	3	1,000
16,791	37	1,000
233	38	1.000
8,993	9	1,000
6,519	29	1,000
7,329	36	1,000
17,428	17	1,000
12,423	38	1,000
3,529	47	1,000
15,044	16	1,000
3,078	23	1,000
12,487	26	1,000
5,582	45	1,000
1,187	48	1,000
5,463	12	1,000

პეტერბურგის ბირჟა 4 იანვარი.

	ფასი ფურცლისა	ფასი ფურცლისა	ბოლო ფასი
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ბუთმანიანი ოქრო	—	„	—	„	9	15
ტამოჟნის კუპონები	—	„	—	„	183 1/2	
მანანიანი ვერცლის ფული	—	„	—	„	1	34
5% პირველის შინაგანის სესხის მიმგები ბილეთი	—	„	—	„	268 3/4	
— მეორისა	—	„	—	„	250	
გირავნოვ. ფურცელნი						
ტფილისის ბანკისა	—	„	—	„	—	„
ქუთაისის ბანკისა	—	„	—	„	—	„
ტფილისის საურბანო ნდობის საზო.	—	„	—	„	—	„
გადოებისა						

გამოსაძიები ცნობანი

ნიხრი

1 იანვრიდამ 1 თებერვალამდე

თეთრი ბური რუსული 1 გრ. 5 კაპ.
ბური 1-ის ხარისხისა . . 3 »
» 2 » 2 1/2 »
თოსის წითელი ბური 1-ის ხარის. 5 »
» » 2— 3 1/2 »
» » 3 » 3
ჯვარის მაძის ბური ლაბაში 1-ლის ხარისხისა . . 5 »
მე-2 ხარისხისა . . 4 »
მე-3 — . . . . »
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 »
» 2 » 7 »
სუფა . . . . 14 »
ძროხის ხორცი . . . 8 »
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. 7 »
» 2 » 6 »

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა

ბავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოგზე გზით და ნოვოროსიისკსა და ბერნში შეიელის.

შაბათობით სადამის 8 საათზე შორის გზით (ეკვლა ნაუთ-ს